დანართი №2



საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნანა შარაბიძე

წევრები:

ხათუნა წერეთელი

ირაკლი მანველიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

(ქალაქი, წელი)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 247865289

სახე: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - სასწავლო უნივერსიტეტი

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

(ქალაქი, წელი)

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის #1084 ბრძანებით (11.11.2019წ) შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1.ნანა შარაბიძე - თავმჯდომარე;

2. ხათუნა წერეთელი - წევრი;

3. ირაკლი მანველიძე - წევრი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი ოთხი საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“, „ბუღალტრული აღრიცხვა“ „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“ „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი“ განხორციელების უფლებამოსილების მოპოვების მიზნით, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პირობების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 19, 20, 21 ნოემბერს შუახევის მუნიციპალიტეტში, სოფ. ტაკიძეები (ხიჭაური).

ვიზიტი განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით, რომელიც წინასწარ გადაეგზავნა დაწესებულებას (დანართი 1). ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შეამოწმეს პროფესიული განათლების მარეგულირებელი დოკუმენტაცია, გაეცნენ წარმოდგენილი მოდულური პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას, შეამოწმეს ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი პროგრამები, ადაპტირებული მოდულები, სასწავლო გეგმების შესაბამისობა პროგრამის სტრუქტურასთან და შინაარსთან. გაანალიზეს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმები, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მექანიზმები.

ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაეცნენ დაწესებულების ინფრასტრუქტურას, შეისწავლეს წარმოდგენილი პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ- ტექნიკური ბაზა, დაადგინეს არსებული რესურსის შესაბამისობა მოდულურ პროგრამების მოთხოვნებთან; გადაამოწმეს პროგრამების მატერიალური რესურსის ფლობის/საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, შეამოწმეს ბიბლიოთეკა, პროგრამების საგანმანათლებლო რესურსები.

შესწავლილ იქნა და გაანალიზდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი თითოეულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ.

ექსპერტებმა განიხილეს უნივერსიტეტის გრძელვადიან (ექვსწლიანი) და ერთწლიან სამოქმედო გეგმებში პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები. ჩატარდა პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

(ქალაქი, წელი)

განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსების საქმიანობის და კვალიფიკაციის დამადასტუდებელი დოკუმენტაციის შემოწმება, მათთან დადებული ხელშეკრულებების შესაბამისობა კანონით დადგენილ ნორმებთან. ვიზიტის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო ინტერვიუირებას. ექსპერტები გაესაუბრნენ უნივერსიტეტის პროფესიულ განათლებაში ჩართულ ადმინისტრაციულ პერსონალს, პროგრამების ხელმძღვანელებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალური და ადამიანური რესურსის გადამოწმებით დადგინდა, რომ უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ შეიქმნება უნივერსიტეტის მიერ აკადემიური საგანმამათლებლო პროგრამების არაჯეროვნად განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმამათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა.

ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა დაწესებულებაში 2019 წლის 2, 3 და 4 ივლისს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ვიზიტის დროს **დაფიქსირებული ხარვეზების** და **გაცემული რეკომენდაციების შესრულება:**

ხარვეზი 1 - ქვესტანდარტი 1.1. -ავტორიზაციის დებულების მუხლი 6 / პუნქტი ა)

- „ბუღალტრული აღრიცხვის“ და „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს არ აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში არ არის გათვალისწინებული მოდულებზე დაშვების წინაპირობები. „საექთნო განათლების“ პროგრამის სასწავლო გეგმაში ცალკეულ მოდულებზე არასწორად არის მითითებული საათების რაოდენობა და არ შეესაბამება მოდულზე გათვალისწინებულს.

ხარვეზი გამოსწორებულია - „ბუღალტრული აღრიცხვის“ და „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები. „საექთნო განათლების“ პროგრამის სასწავლო გეგმაში მოდულებზე სწორად არის მითითებული საათების რაოდენობა და შეესაბამება მოდულზე გათვალისწინებულს.

ხარვეზი 2 -. ქვესტანდარტი 2.1.2. -ავტორიზაციის დებულების მუხლი 7 / პუნქტია. ბ)

- „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული სწავლებისთვის განკუთვნილი მატერიალურ რესურსი (ინვენტარი, აღჭურვილობა, მასალა, ნედლეული) უზრუნველყოფილი და ხელმისაწვდომი უნდა იყოს კლინიკური პრაქტიკის ობიექტებზე მათთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

დაწესებულებას ვიზიტის დროს არ წარმოუდგენია აღნიშნული სახის ხელშეკრულებები. შესაბამისად, არ არის უზრუნველყოფილი „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული სწავლების კომპონენტის (14 პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

(ქალაქი, წელი)

მოდული - 90 კრედიტი) განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი, განსხვავებით პროგრამის თეორიული სწავლებისთვის განკუთვნილი მატერიალური რესურსისა, რომელიც დაწესებულებაში სრულად არის წარმოდგენილი.

ხარვეზი გამოსწორებულია - დაწესებულებას ვიზიტის დროს წარმოადგენა კლინიკური და შემაჯამებელი პრაქტიკის გასავლელად გაფორმებული ხელშეკრულებები ბათუმის სამედიცინო ცენტრთან და ს/ს ევექსის ჰოსპიტლებთან. შესაბამისად, უზრუნველყოფილია „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული სწავლების ორი მოდულის (გერონტოლოგია და გერიატრიის საფუძვლები, ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია), პრაქტიკული სწავლების მოდულების „შინმოვლა“ და „ავადმყოფის მოვლა“ და კლინიკური სწავლების კომპონენტის (14 პროფესიული მოდული - 90 კრედიტი) განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი.

ხარვეზი 3. ქვესტანდარტი 2.3. -ავტორიზაციის დებულების მუხლი 7 / პუნქტი გ)

- დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) არ შეესაბამება „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას.

ხარვეზი გამოსწორებულია - ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას.

ხარვეზი 4. ქვესტანდარტი 2.5. -ავტორიზაციის დებულების მუხლი 7 / პუნქტი ე)

- დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრის წარმოებას, კერძოდ დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის ბრძანება №127/ნ დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის“ მუხლი 13. „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა დაპროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებების რეესტრში პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე/ჩარიცხული პირების შესახებ შესატანი ინფორმაცია“. ვინაიდან რეესტრში ზემოაღნიშნული წესით დადგენილ ვადებში არ არის ასახული ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 20 ივვისის N 01-13/9, 2019 წლის 11 მარტის N 01-07/07, 2019 წლის 21 ივნისის N01-07/08 ბრძანებებში მითითებული სტატუს შეჩერებული და შეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების შესახებ ინფორმაცია.

ხარვეზი გამოსწორებულია - დაწესებულების რეესტრის გადამოწმებამ აჩვენა, რომ ამჟამად რეესტრში არ ფიქსირდება არც ერთი აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, ხოლო სტატუს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

(ქალაქი, წელი)

შეჩერებული ყველა სტუდენტის მონაცემები შესაბამისობაშია პროფესიული სტუდენტების სტატუსის შეჩერების ბრძანებებთან.

ხარვეზი 5. ქვესტანდარტი 2.8. -ავტორიზაციის დებულების მუხლი7 / პუნქტი თ)

- ვიზიტის პერიოდში ვებგვერდზე წარმოდგენილი ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი, ვებგვერდი არ ფუნქციონირებს სრულფასოვნად, განყოფილებების ნაწილი არ იხსნება.

ხარვეზი გამოსწორებულია ნაწილობრივ - ვიზიტის პერიოდში ვებგვერდზე წარმოდგენილი ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყო, ვებ გვერდი ფუნქციონირებდა სრულფასოვნად განყოფილებების დონეზე, ხოლო განყოფილებების შიგნით ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ვებ გვერდის ფუნქციების გამრავალფეროვნების პროცესი დაწყებულია და იგეგმება ახალი რუბრიკების დამატება.(იხ. 2.8)

ხარვეზი 6 ქვესტანდარტი 3.2. -ავტორიზაციის დებულების მუხლი 8 / პუნქტი ბ)

- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ვერ დგინდება „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკურ სწავლებაში ჩართული ექთნების ვინაობა ან/და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ექთნებსა და პროფესიულ სტუდენტებს შორის თანაფარდობის (1/7) არსებობა, ასევე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა. აღნიშნული ინფორმაციის დადგენა შესაძლებელია კლინიკური პრაქტიკის ობიექტთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც დაწესებულებას არ წარმოუდგენია.

ხარვეზი გამოსწორებულია - დაწესებულებამ წარმოადგინა კლინიკური პრაქტიკის ობიექტებთან (ბათუმის სამედიცინო ცენტრი და ს/ს ევექსის ჰოსპიტლები) დადებული ხელშეკრულებები, რომლითაც პრაქტიკის ობიექტი ორგანიზაცია ვალდებულია შეურჩიოს და გამოუყოს კლინიკური და შემაჯამებელი პრაქტიკების განხორციელებისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური პერსონალი, ხოლო დაწესებულება - სასწავლო უნივერსიტეტი ვალდებულია გაუფორმოს მათ ხელშეკრულება და მისცეს ანაზღაურება. ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა კლინიკური პრაქტიკის განმახორციელებელ ექთნებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

2019 წლის 2, 3 და 4 ივლისს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა 9 რეკომენდაცია, რომელთა ნაწილი უკვე გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ, ხოლო ნაწილზე მუშაობა ვიზიტის დროსაც მიმდინარეობდა.

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

(ქალაქი, წელი)

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☐	■
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	☐
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	☐	■
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	☐
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	☐
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

(ქალაქი, წელი)

	შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.			
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	☐
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	■	☐
2.1	დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	☐
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	☐
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	☐
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	☐
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	☐
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	☐
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

(ქალაქი, წელი)

2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	☐
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	☐
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	☐
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	☐
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	☐
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	☐

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

(ქალაქი, წელი)

1. ხარვეზი: დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 2019 წლის კატალოგი.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

1. რეკომენდაცია: სასურველია დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დამატებით გამოყოს მინიმუმ ერთი პირი. (1.6.)
2. რეკომენდაცია: სასურველია ვებ გვერდზე პროფესიული განათლების კუთხით უფრო მეტი ინფორმაციის (მაგ. დაწესებულების პერსონალი, პროფესიული განათლების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები, პარტნიორი ორგანიზაციები, პროფესიული სტუდენტების აქტივობები, მათი მხარდაჭერის ღონისძიებები და სხვ.) განთავსება. (2.8)
3. რეკომენდაცია: სასურველია პროფესიული განათლების მიმართულებით სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები განთავსდეს დაწესებულების ვებ გვერდზე. (2.9.)
4. რეკომენდაცია: სასურველია დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის მასწავლებელთა სახლის მიერ შემუშავებული ტრენინგ მოდულებით გადასამზადებლად მიმართოს მასწავლებელთა სახლს. ასევე დაწესებულების წარმომადგენლებმა, რომლებიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დანერგვის და განხორციელების პროცესებში იქნებიან ჩართულები, ითანამშრომლონ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრთან (პროფესიული მიმართულებით). (3.2.)

VII. დაწესებულების მისია

ქართველი ერის კეთილდღეობის, ეკონომიკური ძლიერების, სულიერების ამაღლების და მსოფლიო საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობისათვის უნივერსიტეტი ქმნის თანამედროვე საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობისთვის შესაბამის გარემოს, სთავაზობს მაღალი ხარისხის საგანმანათებლო პროგრამებს, უზრუნველყოფს კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, ხელს უწყობს მაღალი ეროვნულ-მოქალაქეობრივი შეგნების და რელიგიური ტოლერანტობის მატარებელი პიროვნების ჩამოყალიბებას.

სტანდარტების შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

(ქალაქი, წელი)

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის დებულების მუხლი 6.2.3. - ის თანახმად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებას ახორციელებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ შემუშავებულია საგანმანათლებლო სტანდარტის (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის, სარეგისტრაციო ნომერი - 09109-პ) „საექთნო განათლება/ Nursing“ საფუძველზე,
მისანიჭებელი კვალიფიკაციაა:
ა) ასოცირებული ხარისხი საექთნო საქმეში/Associate Degree in Nursing *(ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან)*
ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/Fifth Level Vocational Qualification in Nursing *(მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი).*
კვალიფიკაციის კოდი - 0913/090554
პროგრამა დამტკიცებულია სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით #02-01/07 05.10.2019წ.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი,ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

(ქალაქი, წელი)

პროგრამის საექთნო განათლება მოცულობა კრედიტებში ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 180 კრედიტს (მათ შორის: ზოგადი მოდულები - 9 კრ.; თეორიული სწავლება საბაზო მეცნიერებები - 24 კრ.; თეორიული სწავლება საექთნო საქმე - 45კრ.; თეორიული სწავლება სოციალური მეცნიერებები - 6 კრ.; პრაქტიკული სწავლება - 6 კრ.; კლინიკური სწავლება -90 კრ.), არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობა - 210 კრედიტია.

2. **საგანმანათლებლო პროგრამა - ბუღალტრული აღრიცხვა**

პროგრამა შემუშავებულია „ბუღალტრული აღრიცხვა - Accounting“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი - 04114-პ).

მისანიჭებელი კვალიფიკაციაა: უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში / Higher Vocational Qualification in Accounting.

პროგრამა დამტკიცებულია სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით #02-01/07 05.10.2019წ.

კვალიფიკაციის კოდი: 0411

პროგრამის მოცულობა შეადგენს - ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის: 99 კრედიტს, არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვი: 129 კრედიტს. პროგრამის ხანგრძლივობა - ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 72 კვირა, არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 92 კვირა. პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს (11 კრედიტის მოცულობით) და 16 პროფესიულ მოდულს (88 კრედიტის მოცულობით).

3. **საგანმანათლებლო პროგრამა - სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია ჩარჩო დოკუმენტის “აღმზრდელის” საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი - 02117-პ).

მისანიჭებელი კვალიფიკაციაა: მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში.

კვალიფიკაციის კოდი: 030255

პროგრამა დამტკიცებულია სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით #02-01/07 05.10.2019წ.

პროფესიული საგანმანათლებლო **პროგრამის მოცულობა** ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 116 კრედიტს. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 105 კრედიტი. პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს (11 კრედიტის მოცულობით) და 24 პროფესიულ მოდულს (105 კრედიტის მოცულობით).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

(ქალაქი, წელი)

პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 21 სასწავლო თვეს (84 სავარაუდოსასწავლო კვირა).
პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 146 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა - 31 სასწავლო თვე (სავარაუდო 104 სასწავლო კვირა) .

4. **საგანმანათლებლო პროგრამა- ბაგა -ბაღის აღმზრდელი პედაგოგი**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია ჩარჩო დოკუმენტის "ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის" საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი - 01101-პ).
მისანიჭებელი კვალიფიკაციაა: ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.
კვალიფიკაციის კოდი: 030254
პროგრამა დამტკიცებულია სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით #02-01/08 28.10.2019წ.
პროფესიული საგანმანათლებლო **პროგრამის მოცულობა** ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 111 კრედიტს. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11, სავალდებულო პროფესიული მოდულების - 90 კრედიტი. არჩევითი პროფესიული მოდულები - 10 კრედიტი.
პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 72 სასწავლო კვირა.
პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 141 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა - 112 სასწავლო კვირა.

პრაქტიკის ობიექტები
პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები და ხელშეკრულებები შემდეგ ორგანიზაციებთან:
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება"

- ხელშეკრულება ბათუმის სამედიცინო ცენტრთან სამი წლის ვადით (05.08.2019წ.);
- ხელშეკრულება ს/ს ევექსის ჰოსპიტლებთან სამი წლის ვადით (05.08.2019წ.);

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულებები მოიცავდა ინფორმაციას პრაქტიკის ობიექტის მიერ გამოყოფილი პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნების, ფუნქციების, განმახორციელებელი პირის და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობის 1/7, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების უზრუნველყოფის საკითხების და კლინიკური მოდულების გავლისას პროფესიული სტუდენტების მათ გარეშე არდაშვების თაობაზე.
ვიზიტისას დაწესებულებამ წარმოადგინა ხელშეკრულებების დანართები, რომელშიც დაკონკრეტებულია კლინიკური მოდულების განმახორციელებელი პირების ფუნქციები, პასუხისმგებლობა, უფლება-მოვალეობები, პრაქტიკის ობიექტსა და კოლეჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

(ქალაქი, წელი)

ანგარიშგება/ინფორმაციის გაცვლის ვალდებულება, პროფესიული სტუდენტის პასუხისმგებლობის დასმის საკითხის უფლებამოსილება, პროფესიული სტუდენტების წახალისების და პრობლემური საკითხის განხილვის დასმის უფლებამოსილება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“

- მემორანდუმი ფინანსურ ექსპერტთა კორპორაციასთან პროგრამის მოქმედების ვადით (01.07.2019წ.);
- აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკური სამინისტროსთან როგრამის მოქმედების ვადით (01.07.2019წ.);

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“

- ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანებასთან პროგრამის მოქმედების ვადით (21.10.2019წ.);
- ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანებასთან პროგრამის მოქმედების ვადით (21.10.2019წ.);

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბაგა- ბაღის აღმზრდელი პედაგოგი“

- ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანებასთან პროგრამის მოქმედების ვადით (21.10.2019წ.);
- ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანებასთან პროგრამის მოქმედების ვადით (21.10.2019წ.).

ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ პრაქტიკის ობიექტზე კლინიკაში „ბათუმის სამედიცინო ცენტრი“, შეხვდა და გაესაუბრა ცენტრის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. კლინიკის დირექტორმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე მათ ბაზაზე იგეგმება ჯამში 6 მოდულის განხორციელება. კერძოდ: თეორიული სწავლების ორი მოდული (გერონტოლოგია და გერიატრიის საფუძვლები, ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია), ორი პრაქტიკული მოდული (შინმოვლა და ავადმყოფის მოვლა) და კლინიკური პრაქტიკის მოდულები (კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია და შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია). თუმცა, კლინიკის ადმინისტრაციის მხრიდან გამოითქვა სურვილი შემდგომში გადაიხედოს ხელშეკრულება და მხოლოდ 6 მოდულით არ შემოიფარგლონ და ითანამშრომლონ კლინიკური სწავლების სხვა მოდულების ფარგლებშიც.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე მოინახულა საგანმანათლებლო პროგრამების „სკოლამდელი საგანმანათლებო დაწესებულების აღმზრდელი“ და „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი“ პრაქტიკის ობიექტად მოაზრებული ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების შუახევის ბაგა-ბაღი, გაესაუბრა ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების ადმინისტრაციის და ბაგა ბაღის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

(ქალაქი, წელი)

წარმომადგენლებს, რომელთა მხრიდან დადასტურდა მათი მზაობა მიიღონ პროფესიული სტუდენტები საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში.

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საფუძველი ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, საკონტაქტო ინფორმაცია, პროგრამის ხელმძღვანელი, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე, მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის, პროგრამის განხორციელების გეგმა ქართულენოვანი და არაქართულენოვან სტუდენტებისათვის ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ. მატერიალური რესურსის შესახებ ინფორმაცია. ყველა საგანმანათლებლო პროგრამა ადაპტირებულია რეკომენდაციების დაცვით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი“;
- პროგრამების მიზნებისთვის გაფორმებული მემორანდუმები და ხელშეკრულებები;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

(ქალაქი, წელი)

შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 2017 წლის კატალოგი. კატალოგში მოცემულია საკონტაქტო ინფორმაცია დაწესებულების შესახებ და ასევე ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. <u>თუმცა, კატალოგი რომელიც შემუშავებულია 2017 წელს არ არის განახლებული 2018 და 2019 წელებში.</u> დაწესებულების ვებ გვერდზე ასევე განთავსებულია ის საგანმანათლებლო პროგრამები, რომელიც დაწესებულებას წარდგენილი აქვს საავტორიზაციოდ. აუცილებელია დაწესებულებამ განაახლოს 2017 წლის კატალოგი და ამავე დროს მასში, ანონსის სახით, განათავსოს ინფორმაცია (პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, მისანიჭებელი კვალიფიკაციები, კრედიტები და შეფასების წესი, პრაქტიკის ობიექტი - პარტნიორი ორგანიზაციები) იმ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომელთა დამატებაც სურს. ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ განაახლებენ კატალოგს და გაითვალისწინებენ მასში ექსპერტთა შენიშვნებს.

ხარვეზი:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
- ინტერვიუ დაწესებულების ადმინისტრაციასთან

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☒ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებს. თითოეული პროგრამის სწავლის შედეგებში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, თუ რა ეცოდინება, რისი გაკეთება შეეძლება და რა ფასეულობებს შეიძენს სტუდენტი პროგრამის დასრულების შემდეგ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას რექტორის ბრძანებით №01-03/32, (01.08.2019წ.) დამტკიცებულია საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც ოთხი თავისა 22 მუხლისგან შედგება. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესებში მოცემულია ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების (თავიII, მუხლი4.), სტატუსის შეჩერების (თავიII, მუხლი5), სტატუსის შეწყვეტის (თავიII, მუხლი7), მობილობის (თავიII, მუხლი8), და ასევე მიღებული განათლების აღიარების (თავიII, მუხლი9) წესები.

ვიზიტის დროს გადამოწმდა სტუდენტის სტატუსის, მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის არსებული პრაქტიკა, რომელიც არსებობდა სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის ვადის ამოწურვამდე და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

(ქალაქი, წელი)

რომლის მიხედვითაც მოხდა იმ დაუსრულებელი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების სტატუსის შეჩერება, რომელთა დასრულების ვადა ცდებოდა სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის ვადას. სტუდენტის სტატუსის, მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის პროცედურები სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილი პროცედურების შესაბამისადაა განხორციელებული.

საგანმანათლებლო პროგრამების რეესტრში არსებული ინფორმაციის გადამოწმების შედეგები იხილეთ გვ.5 (ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ვიზიტის დროს **დაფიქსირებული ხარვეზების** და **გაცემული რეკომენდაციების** შესრულება)

მობილობის და ასევე მიღებული განათლების აღიარების არსებული პრაქტიკა დაწესებულებაში არ დაფიქსირებულა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას რექტორის ბრძანებით №01-03/32, (01.08.2019წ.) დამტკიცებულია საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც ოთხი თავისა 22 მუხლისგან შედგება. სასწავლო პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

(ქალაქი, წელი)

მარეგულირებელ წესებში მოცემულია ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ (მუხლი2).

საგანმანათლებლო პროგრამისათვის „საექთნო განათლება“ გაფორმებული აქვს მემორანდუმები:

1. ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-სთან (04.07.2019წ., საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედების ვადით);

საგანმანათლებლო პროგრამისათვის „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი“ გაფორმებული აქვს მემორანდუმები:

1. შპს ორიენტირთან (01.11.2019წ., საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედების ვადით);
2. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (01.11.2019წ., საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედების ვადით)

საგანმანათლებლო პროგრამისათვის „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი “ გაფორმებული აქვს მემორანდუმები:

1. კოლეჯთან შპს ცხუმ-ეგრისი (21.10.2019წ., საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედების ვადით);
2. ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-სთან (30.09.2019წ., საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედების ვადით);

საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ბუღალტრული აღრიცხვა“ გაფორმებული აქვს მემორანდუმები:

1. კოლეჯთან შპს ცხუმ-ეგრისი (21.10.2019წ., საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედების ვადით);
2. ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-სთან (04.07.2019წ., საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედების ვადით);

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- გაფორმებული მემორანდუმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

(ქალაქი, წელი)

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფას არეგულირებს რექტორის 2017 წლის 10 ნოემბრის № 01-07-09/ბ ბრძანებით დამტკიცებული "ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება", ასევე რექტორის 2019 წლის 7 მაისის № 01-03/27 ბრძანებით დამტკიცებული „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემა". ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებაში შექმნილია შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, შემუშავებულია შიდა მხარდაჭერის ჯგუფის გეგმა. შიდა მხარდაჭერის ჯგუფი ატარებს პროფესიული სტუდენტების, პროგრამების განმახორციელებელი პირების გამოკითხვას, საკონტაქტო საათზე დასწრებას, შედეგების შეჯამებას, ანალიზს და რეკომენდაციების შემუშავებას პროცესების შემდგომი გაუმჯობესებისთვის.
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების მიხედვით, დაწესებულებამ შეიმუშავა შემდეგი სახის კითხვარები და ფორმები:

- ✓ შიდა მხარდაჭერის კითხვარი პროფესიული სტუდენტისათვის (დამტკიცებულია რექტორის 2018 წლის 29 დეკემბრის № 01-03/27 ბრძანებით);
- ✓ „შიდა მხარდაჭერის ჯგუფის კითხვარი პროგრამის განმახორციელებლი პირისთვის" (დამტკიცებულია რექტორის 2018 წლის 29 დეკემბრის № 01-03/27 ბრძანებით);
- ✓ შიდა მხარდაჭერის ჯგუფის საკონტაქტო საათზე დასწრების ფორმა (დამტკიცებულია რექტორის 2018 წლის 29 დეკემბრის № 01-03/27 ბრძანებით).

შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ ჩატარებული პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა ზოგადად ხორციელდება ყოველი მოდულის დასრულების შემდეგ.
ვიზიტის დროს ექსპერტებმა შეისწავლეს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხარისხის უზრუვნელყოფის მექანიზმები - შიდა მხარდაჭერის ჯგუფის კითხვარი, პროგრამის განმახორციელებლი პირისთვის მხარდაჭერის ჯგუფის საკონტაქტო საათზე დასწრების ფორმები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

(ქალაქი, წელი)

პროფესიული სტუდენტის კითხვარი, პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგების ანალიზი, ყველა იმ მოდულის მიხედვით, რომელთა დასრულებაც მოხდა საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ვადის ამოწურვამდე.

უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია ერთადერთი პირი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს როგორც აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებით, სასურველია დაწესებულებამ დამატებით გამოყოს მინიმუმ ერთი პირი, რომელსაც უშუალოდ მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფა დაევალება.

რეკომენდაცია: სასურველია დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დამატებით გამოყოს მინიმუმ ერთი პირი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტაკიძეები (ხიჭაური)	10152,4 კვ.მ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

(ქალაქი, წელი)

2	პროფესიულისათვის გამოყოფილი სასწავლო ფართი	570,1 კ ვ . მ .

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას, მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად, გამოყოფილი აქვს სივრცე ერთ-ერთი კორპუსის მეორე სართულზე, რომელშიც გარდა A, B, C გარემოებისა განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო სივრცე და ასევე მოდულების განმახორციელებელი პერსონალის სამუშაო სივრცე, რომელშიც განთავსებულია სამუშაო მაგიდები, სკამები, კომპიუტერი, პრინტერი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ბუღალტრული აღრიცხვა

პროგრამისათვის დაწესებულებაში გამოყოფილია ორი სასწავლო გარემო - A და B. **თითოეული გარემოს ფართი და მატერიალური რესურსი გათვლილია ჯგუფში 15 პროფესიულ სტუდენტზე.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

(ქალაქი, წელი)

კომპიუტერული კლასის ყველა კომპიუტერში ჩატვირთულია ლიცენზირებული საბუღალტრო პროგრამა „ორისი“.

პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა - 60.

ერთ მიღებაზე იგეგმება 30 პროფესიული სტუდენტის მიღება ორ ცვლაში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საექთნო განათლება

პროგრამისათვის კოლეჯში გამოყოფილია ორი სასწავლო გარემო - A და C. თითოეული **გარემოს ფართი და მატერიალური რესურსი გათვლილია ჯგუფში 15 პროფესიულ სტუდენტზე.**

კოლეჯის ადმინისრტრაციის წარმომადგენლების განმარტებით, აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტთა მიღება განხორციელდება ორ ცვლაში 15-15 პროფესიული სტუდენტი.

პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა - 60.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი“ პროგრამისათვის კოლეჯში გამოყოფილია სრულად აღჭურვილი ერთი სასწავლო გარემო - A, 15 სტუდენტზე დაწესებულების მიერ მოთხოვნილი კვოტა არის - 27.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“

პროგრამისათვის კოლეჯში გამოყოფილია სრულად აღჭურვილი ერთი სასწავლო გარემო - A, 15 სტუდენტზე

დაწესებულების მიერ მოთხოვნილი კვოტა არის - 30.

საგანმანათლებლო პროგრამებისთვის **„ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი“ და „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“** დაწესებულებაში დამატებით გამოყოფილია ბაგა-ბაღის იმიტირებული გარემო.

რაც შეეხება B გარემოს, დაწესებულებაში გამოყოფილია 15 პროფესიული სტუდენტის სწავლისათვის საჭირო აუდიტორია, რომელიც ერთდროულად მოემსახურება 3 პროგრამას - საექთნო განათლება, ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი და სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი.

საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმები აუდიტორიის გამტარუნარიანობის შესაბამისადაა შედგენილი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო სივრცეები, მათი აღჭურვილობა აკმაყოფილებს დაწესებულების მიერ მოთხოვნილ კვოტას თითოეული პროგრამისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

(ქალაქი, წელი)

- ვიზუალური დათვალიერებით
- მატერიალური რესურსების შესყიდვის დოკუმენტებით

შეფასება

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო უნივერსიტეტში არსებობს ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა. უნივერსიტეტს გააჩნია საკუთარი ტრანსფორმატორი, რაც უზრუნველყოფს ხარისხიანი დენის მიწოდებას. ელექტროენერგიას უნივერსიტეტს აწვდის ს.ს „ენერგო–პრო ჯორჯია“ ხელშეკრულების თანახმად (№2821–1/7–12. 23.07.2012. ხელშეკრულება გაფორმებულია უვადოდ). ყველა სართულზე მოწყობილია სანიტარული კვანძები, აუდიტორიებს აქვთ ბუნებრივი განათება ამ ეტაპზე უნივერსიტეტში გათბობა უზრუნველყოფილია ელექტროგამათბობლებით (210 ელექტროგამათბობელი), დაწესებულების ადმინისტრაციათან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ზემო აჭარის მიმართულებით უკვე მიმდინარეობს ბუნებრივი აირის ქსელის გაყვანითი სამონტაჟო სამუშაოები, რის შემდგომაც უნივერსიტეტი აღიჭურვება ცენტრალიზებული გათბობის სისტემით.

სასწავლო უნივერსიტეტში წყალმომარაგება უწყვეტი რეჟიმში მიმდინარეობს, ვინაიდან უნივერსიტეტს აქვს თავისი წყალმომარაგების საშუალება, კერძოდ ჭაბურღილი, რომელიც აღჭურვილია წლის ამოსატუმბი მოწყობილობით. უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებობს ორი წყლის ავზი 16 ტონიანი და 4,15 ტონიანი, საიდანაც მარაგდება წყლით უნივერსიტეტის ყველა შენობა და სველი წერტილი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების მიერ კომუნალური ხარჯებისთვის გადახდილი ქვითრებით; (სს ენერგო-პრო-ჯორჯია);
- შესყიდვის დოკუმენტაციით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

(ქალაქი, წელი)

- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

[ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის წიგნადი ფონდი საინვენტარიზაციო წიგნის შესაბამისად მთლიანობაში შეადგენს 17000 წიგნს. მათ შორის 95 ერთეული ელექტრონული წიგნია. წიგნადი ფონდი შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსებთან. ბიბლიოთეკაში არსებობს საბიბლიოთეკო წესით მოწესრიგებული კატალოგი (ანბანური, საგნობრივი, თემატური). ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, მათ შორის ინტერნეტში ჩართული 7 კომპიუტერით, მაგიდებითა და სკამებით, ბიბლიოთეკაში თვალსაჩინოდ გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და მკითხველის ქცევის წესი. ვიზიტის დროს შერჩევით გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის საექთნო განათლების, მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი. ყველა სასწავლო რესურსი ინახა.

აღსანიშნავია, რომ ბიბლიოთეკაში და კომპიუტერულ კლასებში განთავსებული კომპიუტერებით, მომხმარებელს ასევე შესაძლებლობა ექნება ისარგებლოს ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგით, http://www.tbeli.ge/biblio/opac/index.php რომელიც ვიზიტის დროს სატესტო რეჟიმში ფუნქციონირებდა. აღნიშნული სერვისი ხელმისაწვდომი იქნება პროფესიული სტუდენტებისთვისაც.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

(ქალაქი, წელი)

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტში დანერგილი ელექტრონული სისტემების ტექნიკურ მომსახურებას/ადმინისტრირებას უწევს პროფილური სხვადასხვა კომპანია. იმ სერვისებსა და სისტემებს, რომლებიც განთავსებულია უნივერსიტეტის სერვერზე, ადმინისტრირებასა და ტექნიკურ მხარდაჭერას უწევს კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური.
უნივერსიტეტის კომპიუტერული ტექნიკა გაერთიანებულია უნივერსიტეტის შიდა ქსელში და ჩართულია გლობალურ ქსელში. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა აერთიანებს ორი ტიპის ქსელს:
ა) გლობალური ქსელი (პროვაიდერები: პრო სერვისი, და მაგთიკომი);
ბ) შიდა ქსელი;
2019 წლის 31 იანვარს ხელშეკრულება გააფორმდა სასწავლო უნივერსიტეტსა და შ.პ.ს „პოსტი ჯი“ -ს შორის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვის მიზნით.

სასწავლო უნივერსიტეტი ფლობს საკმარისი რაოდენობის კომპიუტერულ ტექნიკას; კომპიუტერები გამოყოფილია ადმინისტრაციისთვის, მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის. გარდა ადმინისტრაციული მიზნებით გამოყენებული კომპიუტერული ტექნიკისა, პროფესიული სწავლების სასწავლო გარემოებისათვის წარმოდგებილია 2 კომპიუტერული კლასი. ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ დაწესებულებაში არსებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინტერნეტ მომსახურების მიწოდების ხელშეკრულებით;
- დომენისა და ჰოსტინგის ფლობის ხელშეკრულებით;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის დებულებით (რექტორის ბრძანება №01–03/11, 29.01.2019);
- ტექნიკის და კომპიუტერული პროგრამების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

(ქალაქი, წელი)

- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტში შემუშავებულია რექტორის 2012 წლის 20 თებერვლის N01-07/08 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების ინსტრუქცია“.
ვიზიტის დროს შემოწმდა აქტებისა და კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალები. კერძოდ, სამი სახის ბრძანებების (რექტორის, თანამშრომელთა დანიშვნა -განთავისუფლების, მივლინების და სტუდენტთა) რეგისტრაციის ჟურნალი, შემოსული კორესპოდენციის, გასული კორესპოდენციის, თანამშრომელთა და სტუდენტთა ხელშეკრულებების, თანამშრომელთა და სტუდენტთა ცნობების, სტუდენტთა განცხადებების და საჩივრების, ოქმების და გადაწყვეტილებების წიგნი სამსახურებისა და ფაკულტეტების მიხედვით.
დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები არის დანომრილი, ხელმოწერილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ, არის ბეჭედდასმული და აკინძულია მაგარი ყდით.
ვიზიტის დროს შერჩევის წესით გადამოწმდა სტატუსშეჩერებული და სტატუსშეწყვეტილი, ასევე კურსდამთავრებული სტუდენტების პირადი საქმეები, მათ პირად საქმეში არსებული სამართლებრივი აქტები და რეესტრში ასახული ინფორმაცია. ყველა დოკუმენტში და რეესტრში მითითებული ინფორმაციები იდენტური იყო.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქმის წარმოების ინსტრუქციით;
- ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

(ქალაქი, წელი)

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის კორპუსებში შემუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმი და თვალსაჩინო ადგილას არსებობს შესაბამისი ინვენტარი – ცეცხლმაქრები და სხვა. უნივერსიტეტის კორპუსებში თვალსაჩინო ადგილას, ყველა სართულზე, გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და ევაკუაციის ინსტრუქცია, გამოკრულია საგანგებო სიტუაციების დროს საჭირო ტელეფონების ნომრების სია, ასევე თამბაქოს მოწევის ამკრძალავი ნიშნები.
სამედიცინო დახმარების მიზნით უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბონეტი. იგი აღჭურვილია პირველადი დახმარებისათვის აუცილებელი ყველა საჭირო მედიკამენტით და აპარატურით. მედიკამენტების განახლება–შესყიდვა ხორციელდება მუდმივად, ცალკეული მადიკამენტის საჭიროებისამებრ. ხდება პირველადი სამედიცინო დახმარების სარეგისტრაციო ჟურნალის წარმოება. ინფორმაცია სამედიცინო კაბინეტის მდებარეობის, მუშაობის განრიგისა და საკონტაქტო ტელეფონის თაობაზე განთავსებულია სასწავლო კორპუსებში.
დაწესებულებას ხელშეკრულებით აყვანილი ყავს დაცვის ორი თანამშრომელი, რომლებიც შიდა და გარე პერიმეტრებზე იცავენ უსაფრთხოებას.

უნივერსიტეტის გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით, რაც ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგის და მატერიალური ფასეულობების დაცვას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შენობის ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

(ქალაქი, წელი)

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების მხარდაჭერა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში მათი ინტეგრირების მიზნით ევალება სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურს. (რექტორის 2018 წლის 25 დეკემბრის № 01-03/16 ბრძანებით დამტკიცებულ „სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურის დებულება“).

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტების წვდომა სასწავლო გარემოსთან უზრუნველყოფილია კიბეზე განლაგებული ხის ასაკეცი პანდუსების მეშვეობით, დაწესებულებაში შენობის მეორე სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილი სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს ოფიციალური ვებ-გვერდი, რომლის მისამართიია www.tbeli.ge ვებ გვერდი ორენოვანია - ქართული და ინგლისური. ვებ გვერდი შემდეგი განყოფილებებისგან შედგება: მთავარი; უნივერსიტეტი, პროგრამები, ფაკულტეტები; პროფესიული; სიახლე; გალერეა; ბიბლიოთეკა; საკონტაქტო ინფორმაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

(ქალაქი, წელი)

აღსანიშნავია, რომ ვებ გვერდის ყველა განყოფილება, მათ შორის „პროფესიული“, იხსნება, მაგრამ მასში მხოლოდ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, საგანმანათლებლო პროგრამების 2017 წლის კატალოგი და საავტორიზაციოდ წარდგენილი პროგრამებია განთავსებული. სასურველია ვებ გვერდზე პროფესიული განათლების კუთხით უფრო მეტი ინფორმაციის (მაგ. დაწესებულების პერსონალი, პროფესიული განათლების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები, პარტნიორი ორგანიზაციები, პროფესიული სტუდენტების აქტივობები, მათი მხარდაჭერის ღონისძიებები და სხვ.) განთავსება.

რეკომენდაცია: სასურველია ვებ გვერდზე პროფესიული განათლების კუთხით უფრო მეტი ინფორმაციის (მაგ. დაწესებულების პერსონალი, პროფესიული განათლების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები, პარტნიორი ორგანიზაციები, პროფესიული სტუდენტების აქტივობები, მათი მხარდაჭერის ღონისძიებები და სხვ.) განთავსება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებ-გვერდით www.tbeli.ge

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების სტრატეგიული გეგმა“, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ
2018 წლის 29 დეკემბერი № 01-03/27 ბრძანებით და რომელიც გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან და ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. იგი მოიცავს პროფესიული განათლების სტრატეგიულ 5 მიზანს:

1. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის განვითარება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

2. მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის განვითარება
3. პროფესიული მოდულური პროგრამების პერსპექტივების კვლევა და ახალი პროგრამების დამატება
4. სტუდენტური სერვისების განვითარება
5. ადამიანური რესურსების განვითარება

თითოეული მიზანი მოიცავს ამოცანებს, შესრულების წლებს,შესრულების ინდიკატორებს, პასუხისმგებელ პირებს და რისკებს.

2019 წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია სტრატეგიული მიმართულებების შესაბამისად გაწერილი ამოცანები, აქტივობები, შემსრულებლები, ინდიკატორები. <u>სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები არ არის განთავსებული დაწესებულების ვებგვერდზე.</u>

რეკომენდაცია: სასურველია სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები პროფესიული განათლების მიმართულებით განთავსდეს დაწესებულების ვებ გვერდზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების სტრატეგიული გეგმა“ და 2019წლის სამოქმედო გეგმა, დამტკიცებული საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ 2018 წლის 29 დეკემბერი № 01-03/27 ბრძანებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლების, აკადემიური თანამდებობების მქონე და პროფესიული მოდულების განმახორციელებელი მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება მათ მიერ დაკავებულ თანამდებობას. მოქმედი აკადემიური პერსონალი დაკომპლექტებულია 2016-2018 წლებში ჩატარებული კონკურსის საფუძველზე, რომელიც ჩატარდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. გარდა ამისა პროფესიულ პროგრამებში, მის განსახორციელებლად, ჩართულნი არიან მოწვეული მასწავლებლები, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება ტბელ აბუსერიძის უნივერსიტეტში პროფესიული პროგრამების განხორციელების წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს. საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ პრაქტიკული, კლინიკური და შემაჯამებელი პრაქტიკის მოდულების განმახორციელებლად დაწესებულებას გაფორმებული აქვს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 8 პრაქტიკოს ექთანთან და 2 ექიმთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პერსონალის პირადი საქმეებით

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. თითოეული პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა პროგრამების მიხედვით:

საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 18 პროფესიული მასწავლებელი, მათ შორის პრაქტიკული კომპონენტების განმახორციელებელი 10 პირი;

საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“

საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 18 პროფესიული მასწავლებელი;

საგანმანათლებლო პროგრამა „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი“

საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 20 პროფესიული მასწავლებელი;

საგანმანთლებლო პროგრამა „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“

საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 20 პროფესიული მასწავლებელი.

აღსანიშნავია, რომ მართალია განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განხორციელებულ მოდულებს და ამავე დროს ზოგიერთ მათგანს აქვს მოდულების განხორციელების პრაქტიკაც, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც, ვინაიდან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ არ განხორციელებულა პროფესიული მასწავლებლების ტრენინგები, ასევე დაწესებულება ამჟამად არ არის ჩართული მოდულური/ დუალური პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის აქტივობებში. ამიტომ სასურველია დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი გადაამზადოს მასწავლებელთა სახლის მიერ შემუშავებული ტრენინგ მოდულებით. ასევე დაწესებულების წარმომადგენლებმა, რომლებიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დანერგვის და განხორციელების პროცესებში იქნებიან ჩართულები, ითანამშრომლონ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრთან (პროფესიული მიმართულებით).

რეკომენდაცია: სასურველია დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის მასწავლებელთა სახლის მიერ შემუშავებული ტრენინგ მოდულებით გადამზადების მიზნით მიმართოს მასწავლებელთა სახლს. ასევე დაწესებულების წარმომადგენლებმა, რომლებიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დანერგვის და განხორციელების პროცესებში იქნებიან ჩართულები, ითანამშრომლონ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრთან (პროფესიული მიმართულებით).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეებით;

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

(ქალაქი, წელი)

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული მასწავლებლის შერჩევა ხდება კანონმდებლობის დაცვით, სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, მუხლი 21. მიხედვით პროფესიული განათლების სასწავლო პროცესში ჩართვისათვის კანდიდატის კვალიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს განსახორციელებელ მოდულს. გარდა აღნიშნულისა ყურადღება ექცევა სამუშაო გამოცდილებას და სხვა საკითხებსაც, რაც გაწერილია ასევე გაწერილია აღნიშნულ წესში.

დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ კონკრეტულ მოდულურ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირი შეირჩევა უნივერსიტეტში დასაქმების თაობაზე შემოსული განცხადებების საფუძველზე, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს მისი კომპეტენციისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები. წარმოდგენილ დოკუმენტებს შემდგომში განიხილავს შესაბამისი საგანმანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან ერთად. შემუშავებული რეკომენდაციები გადაეცემა უნივერსიტეტის რექტორს ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

ვიზიტის დროს გადამოწმდა მოდულების განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები. გადამოწმებამ აჩვენა, რომ ხელშეკრულებებში მითითებულია თუ რომელ პროგრამაზე ხდება მასწავლებლის მოწვევა, რა ანაზღაურებით, მაგრამ არ არის მითითებული კონკრეტულად რომელი მოდულის განხორციელება ევალება მას. ამიტომ მიეცათ რეკომენდაცია აღნიშნულ ხელშეკრულებებს გაუკეთდეს დანართი, რომელშიც მითითებული იქნება კონკრეტულად რომელ მოდულს ახორციელებს ხელშეკრულებით მოწვეული პირი. დაწესებულების წარმომადგენლებმა გაითვალისწინეს რეკომენდაცია და ვიზიტის დასრულებამდე წარმოადგინეს ხელშეკრულების დანართები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- საგანმანათლებლო პროგრამების მოდულების განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

ა) ინფორმაცია პროგრამების შესახებ, საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით.

№	პროგრამის დასახელება	როფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის ეტალური სფეროს ოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის რაქართულენოვანი ტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რა ოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	საქთნო განათლება	მეხუთე დონე/მეხ უთე საფეხური	ა) ასოცირებული ხარისხი საქთნო საქმეში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) 0913 ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საქთნო საქმეში (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი) 090554	180 კრედიტი	210 კრედიტი	ქართუ ლი	შუახევის მუნიციპა ლიტეტ. ს. ტაკიძეები (ხიჭაური)	-	60

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

(ქალაქი, წელი)

2	ბუღალტრული აღრიცხვა	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411	99 კრედიტი	129 კრედიტი	ქართული	შუახევის მუნიციპალიტეტ. ს. ტაკიძეები (ხიჭაური)	-	60
3	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი	მეხუთე საფეხური	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 030254	111 კრედიტი	141 კრედიტი	ქართული	შუახევის მუნიციპალიტეტ. ს. ტაკიძეები (ხიჭაური)	-	27
4	სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი	მეხუთე საფეხური	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში 030255	116 კრედიტი	146 კრედიტი	ქართული	შუახევის მუნიციპალიტეტ. ს. ტაკიძეები (ხიჭაური)	-	30

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი ჩაბარებულია დასკვნის პროექტთან ერთად.

24.12.2019წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

(ქალაქი, წელი)